



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080158192311318

№ 3077

19 / დეკემბერი / 2018
წ.

შპს „ინტერ პლიუსის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: მარნეულის მუნიციპალიტეტი;

ტენდერის ნომერი: NAT170010680;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ინტერ პლიუსი“ (ს/ნ: 240420193);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 30 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 30 ოქტომბრის №03/11236 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 9030), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ინტერ პლიუსის“ (ს/ნ: 240420193) მიერ NAT170010680 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2017 წლის 16 ოქტომბრის №238 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ შპს „ინტერ პლიუსის“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის interpliusi@yahoo.com მეშვეობით, 2018 წლის 31 ოქტომბრის №3783 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2018 წლის 8 ნოემბერს შპს „ინტერ პლიუსმა“ წარმოადგინა 2018 წლის 7 ნოემბრის №108 განმარტება (რეგისტრაციის № 9295) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2017 წლის 16 ოქტომბრის № 238 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 19 აპრილის ჩათვლით, უნდა შეესრულებინა ქალაქ მარნეულში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 165 402,94 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 30 სექტემბერი. მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოიწურა 2017 წლის 16 ოქტომბრის № 238 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

3.1. მიმწოდებლის განმარტებით, პროექტსა და ხარჯთაღრიცხვაში არსებულმა უზუსტობებმა შეაფერხა სამუშაოების შესრულება, კერძოდ, ზედამხედველმა კომპანიამ მას შეაჩერებინა სამუშაოების წარმოება, ვინაიდან პროექტში არ არსებობდა გეოლოგიური დასკვნა, რომლის კვლევაც შემსყიდველი ორგანიზაციის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა, თუმცა მიმწოდებელმა შემსყიდველი ორგანიზაციის თხოვნის გათვალისწინებით, საკუთარ თავზე აიღო გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება, რასაც დასჭირდა 10-12 დღე. მიმწოდებელმა ასევე აღნიშნა, რომ პროექტში არსებული შენობის კოორდინატები და სათვალთვალო წერტილები არ ემთხვეოდა ადგილზე არსებულ ვითარებას. გარდა ამისა, მას მოუწია დაკვალივს აქტის წარდგენა, რაც ასევე არ წარმოადგენდა მიმწოდებლის ვალდებულებას. მიმწოდებლის განმარტებით, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა არ ემთხვეოდა ერთმანეთს, რის შესახებაც მან 2017 წლის 16 ნოემბერს აცნობა შემსყიდველ ორგანიზაციას. ზემოაღნიშნული ცვლილებები განხორციელდა, თუმცა სისტემაში აიტვირთა მხოლოდ 2018 წლის 9 მარტს. მიმწოდებლის განმარტებით, მან შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ ცვლილებები განხორციელებული იყო და მოითხოვა სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელება 70 კალენდარული დღით.

3.2. მიმწოდებლის განმარტებით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ იგი გააფრთხილა სამუშაოების შეჩერების გამო, რის პასუხადაც მან აცნობა, რომ სამუშაოები შეჩერებული იყო საპროექტო სამუშაოების, ასევე ზამთრის მკაცრი კლიმატური პირობების გამო. გარდა ამისა, მიმწოდებელი იძულებული გახდა 2018 წლის 25-26 იანვარს შეეჩერებინა სამუშაოები არასწორი საპროექტო დოკუმენტაციის გამო. 2018 წლის 22 აპრილს მან შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა შესრულებული სამუშაოების აქტი და მოსთხოვა სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება, ვინაიდან მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო უნევდა სამუშაოების შეჩერება. მიმწოდებლის განმარტებით, შემსყიდველი ორგანიზაცია არ იზიარებდა მის განმარტებებს სამუშაოების დამაბრკოლებელ გარემოებებთან დაკავშირებით და მიიჩნევდა, რომ სამუშაოები არ სრულდებოდა. მიმწოდებელმა ასევე აღნიშნა, რომ სახურავის კონსტრუქცია საჭიროებდა კორექტირებას, რის გამოც, მან შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

3.3. მიმწოდებლის განმარტებით, მიუხედავად მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, იგი არ აპირებდა ობიექტის მიტოვებას და არ გაურბოდა პასუხისმგებლობას. მან ასევე აღნიშნა, რომ 2018 წლის 22 ივნისს კვლავ მიმართა შემსყიდველ ორგანიზაციას ხარჯთაღრიცხვის კორექტირების მოთხოვნით, რასაც შემსყიდველი ორგანიზაციის რეაგირება არ მოჰყოლია. მიმწოდებლის განმარტებით, მცდარი იყო შემსყიდველი ორგანიზაციის მითითება იმის შესახებ, რომ იგი ვერ უკავშირდებოდა მიმწოდებლის წარმომადგენლებს. მან აღნიშნა, რომ 2018 წლის 30 ოქტომბრიდან სამუშაოები აქტიურად სრულდებოდა. ამდენად, თუკი შემსყიდველი ორგანიზაცია გამოთქვამდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდისა და ხარჯთაღრიცხვის დაკორექტირების ნებას, გაუგებარია, თუ როგორ ვერ უკავშირდებოდა იგი მიმწოდებელს. მიმწოდებლის განმარტებით, 2018 წლის 15 ოქტომბრის № 80 წერილით მან შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ სურდა სამუშაოების დასრულება, ასევე აღიარებდა მის წილ პასუხისმგებლობას და კვლავ მოითხოვა სამუშაოების ვადის გაგრძელება.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2017 წლის 6 სექტემბერს მარნეულის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა NAT170010680 ელექტრონული ტენდერი შენობების მშენებლობის (CPV45210000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2017 წლის 10 ოქტომბრის №5 სხდომის ოქმით შპს „ინტერ პლიუსი“ (ს/ნ: 240420193) გამოვლინდა გამარჯვებულად და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2017 წლის 16 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა № 238 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 80 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 4 იანვრის ჩათვლით), უნდა შეესრულებინა ქალაქ მარნეულში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 152 000 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 30 მარტი.

4.4. 2017 წლის 16 ნოემბრის № 160 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ პროექტსა და ხარჯთაღრიცხვაში არსებული მონაცემები ერთმანეთს არ შეესაბამებოდა. ამდენად, მან მოითხოვა სხენებული საკითხის მოგვარება და სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდა.

4.5. 2018 წლის 9 იანვრის № 210 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ ყველა საპროექტო მონაცემი დაზუსტდა. შესაბამისად, მიმწოდებელი იწყებდა სამუშაოების შესრულებას, თუმცა დარჩენილი ვადის სიმცირე და ზამთრის მკაცრი კლიმატური პირობები არ აძლევდა სამუშაოების დასრულების საშუალებას. ამდენად, მიმწოდებელმა მოითხოვა სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდა 70 კალენდარული დღით.

4.6. 2018 წლის 1 თებერვლის № 12 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა, რომელიც შეთანხმებული იყო ზედამხედველ კომპანიასთან. მიმწოდებელმა ასევე აღნიშნა, რომ შეთანხმების მიღწევამდე, სამუშაოები შეჩერებული იყო. ამდენად, მან მოითხოვა სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდა 70 კალენდარული დღით.

4.7. 2018 წლის 19 თებერვლის № 14 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას კვლავ აცნობა 2018 წლის 9 იანვრის № 210 წერილში მითითებული გარემოებების შესახებ.

4.8. 2018 წლის 19 და 23 თებერვლის №15 და №23 წერილებით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დაზუსტებული ვარიანტი.

4.9. 2018 წლის 9 მარტის შეთანხმებით მხარეებმა ხელშეკრულების ღირებულება გაზარდეს 165 402,94 ლარამდე, სამუშაოების შესრულების ვადა – 2018 წლის 19 აპრილის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2018 წლის 30 სექტემბრამდე.

4.10. 2018 წლის 30 მარტის № 30 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ სამუშაოები შეჩერებული იყო ხარჯთაღრიცხვის კორექტირების გამო.

4.11. 2018 წლის 23 აპრილს მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა შესრულებული სამუშაოების აქტი (ფორმა №2).

4.12. 2018 წლის 4 მაისის № 59 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ იგი სამუშაოებს ასრულებდა ინტენსიურ რეჟიმში და ითხოვდა შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებას, რაც მან მოითხოვა 2018 წლის 22 აპრილს. მიმწოდებელმა ასევე აღნიშნა, რომ იგი ამზადებდა წერილს კედლებისა და სახურავის კონსტრუქციებთან დაკავშირებით პროექტსა და ხარჯთაღრიცხვაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

4.13. 2018 წლის 7 ივნისის № 50 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ სახურავის კონსტრუქცია საჭიროებდა კორექტირებას. მიმწოდებელმა ასევე მოითხოვა კორექტირებამდე საჯარიმო სანქციების შეჩერება.

4.14. 2018 წლის 22 ივნისის № 50 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დაზუსტებული ვერსია შესათანხმებლად.

4.15. 2018 წლის 26 ივნისის №03/6408 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის 2018 წლის 22 ივნისის წერილი გაუგზავნა შპს „ოპტიმალ გრუპ“+-ს და სთხოვა მოსაზრების წარდგენა.

4.16. 2018 წლის 24 ივლისის № 51 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მის მიერ დასაკორექტირებლად წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის ღირებულება შეადგენდა 165 172,87 ლარს, ხოლო 2018 წლის 9 აპრილის შეთანხმებით ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 165 402,94 ლარი. ამდენად, მცდარი იყო შპს „არკონ ჯგუფის“ 2018 წლის 4 ივნისის წერილში არსებული მითითება ხელშეკრულების ღირებულების ზრდასთან დაკავშირებით. მიმწოდებელმა ასევე დაადასტურა შპს „ოპტიმალ გრუპ“+-ის განმარტება იმის შესახებ, რომ სამუშაოები შეჩერებული იყო 2018 წლის 11 ივნისიდან. მიმწოდებელმა განმარტა, რომ 2018 წლის 22 ივნისს მან წარადგინა კორექტირებული პროექტი და მოითხოვა მის დამტკიცებამდე სამუშაოების, ასევე საჯარიმო სანქციების შეჩერება. მიმწოდებელმა ასევე აღნიშნა, რომ მას უარი ეთქვა შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ მათი ღირებულება (13 000 ლარი) იყო მცირე. მიმწოდებლის განმარტებით, პროექტში არსებული მონაცემები საჭიროებდა კორექტირებას, მათ შორის, მოსაწყობი იყო კანალიზაციის გამშვები ნაგებობა, გადასათვლელი იყო ელექტროგაყვანილობის ქსელის სიგრძე და კვეთები, შესაცვლელი იყო სანათების ტიპი, ვინაიდან იგი არ იწარმოებოდა, შესამცირებელი იყო სამღებრო სამუშაოების მოცულობა, გასაზრდელი იყო თაბაშირ-მუყაოს ფილების რაოდენობა. მიმწოდებელმა ასევე აღნიშნა, რომ იგი არ გაურბოდა პასუხისმგებლობას, თუმცა ითხოვდა საპროექტო დოკუმენტაციის მოწესრიგებას, ვინაიდან სახურავისა და ჭერის მოწყობის სამუშაოები ერთდროულად იყო დასაწყები. მიმწოდებელმა მოითხოვა მის მიერ შეთავაზებული, ხარჯთაღრიცხვაში შესატანი ცვლილებების განხილვა.

4.17. მიმწოდებელმა შეასრულა 46 600,67 ლარის ღირებულების სამუშაოები (სრული მოცულობის 28%), რაც დასტურდება შპს „ოპტიმალ გრუპ“+-ის 2018 წლის 22 მარტის, 21 მაისისა და 13 აგვისტოს ინსპექტირების აქტებით.

4.18. 2018 წლის 24 აგვისტოს №03/8794 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ მის მიერ 2018 წლის 24 ივლისის № 51 წერილით წარდგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა გადაეგზავნა შპს „ოპტიმალ გრუპ“+-სა და საპროექტო ორგანიზაციას – შპს „არკონ ჯგუფს“. შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შპს „არკონ ჯგუფი“ ეთანხმებოდა შესაბამისი ცვლილებების შეტანას, ხოლო შპს „ოპტიმალ გრუპ“+-ის მიერ წარდგენილი ინსპექტირებული კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა გადაეცა მიმწოდებელს. ამდენად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოსთხოვა ურთიერთშეთანხმების გაფორმება და სამუშაოების განახლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შეწყვეტდა მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას.

4.19. 2018 წლის 30 აგვისტოს №100 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას შესათანხმებლად წარუდგინა დაზუსტებული კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და მოითხოვა სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდა.

4.20. 2018 წლის 4 სექტემბრის №03/9069 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ მის მიერ წარდგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა არ შეესაბამებოდა შპს „ოპტიმალ გრუპ“+-ის კორექტირებულ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. ამდენად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ურთიერთშეთანხმების გაფორმების მიზნით, მოითხოვა შპს „ოპტიმალ გრუპ“+-ის მიერ წარდგენილი

კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისი დოკუმენტის წარდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შეწყვეტდა მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას.

4.21. 2018 წლის 11 სექტემბრის № 75 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დაზუსტებული ვარიანტი და მოსთხოვა სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელება. მიმწოდებელმა ასევე მოითხოვა ხარჯთაღრიცხვაში კონკრეტული მასალების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებლობის შესახებ 2018 წლის 24 ივლისის №51 წერილის განხილვა.

4.22. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის 2018 წლის 8 ოქტომბრის № 4252-03 მოხსენებით ბარათიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელს რამდენჯერმე წარუდგინა ზედამხედველი კომპანიის მიერ წარდგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა, თუმცა შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის ჯერ კიდევ არ გაფორმებულა ურთიერთშეთანხმების აქტი და სამუშაოები არ გაგრძელებულა. გარდა ამისა, მხარეთა შორის შედგა სიტყვიერი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, მიმწოდებელს, ხარჯთაღრიცხვის კორექტირებამდე, უნდა გაეგრძელებინა სამუშაოები, რაც მას არ შეუსრულებია. ამდენად, საეჭვო იყო, რომ მიმწოდებელი დაასრულებდა სამუშაოებს.

4.23. 2018 წლის 15 ოქტომბრის წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ სამუშაოები მიმდინარეობდა შეფერხებით, რაც გამომწვეული იყო ხარჯთაღრიცხვის კორექტირებით. გარდა ამისა, კომპანიას ჰქონდა ფინანსური პრობლემები. ამდენად, ვინაიდან მან ვერ შეძლო სამუშაოების დასრულება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, მიმწოდებელმა მოითხოვა სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელება 2018 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

4.24. მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოიწურა 2017 წლის 16 ოქტომბრის №238 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ინტერ პლიუსს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის 2018 წლის 8 ოქტომბრის №4252-03 მოხსენებით ბარათზე, რომლის თანახმადაც, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის ჯერ კიდევ არ გაფორმებულა ურთიერთშეთანხმების აქტი. სააგენტო აღნიშნავს, რომ, როგორც საქმეში არსებული მიმწოდებლის წერილებით დგინდება, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას არაერთხელ აცნობა ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების განხორციელების საჭიროების შესახებ, ასევე რამდენჯერმე წარუდგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა, რის პასუხადაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ მხოლოდ 2018 წლის 4 სექტემბრის №03/9069 წერილით აცნობა ხარჯთაღრიცხვის შპს „ობტიმალ გრუპ“+-ის კორექტირებულ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის შესახებ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელმა ამის შემდეგ, 2018 წლის 11 სექტემბრის №75 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას კვლავ წარუდგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა, რასაც შემსყიდველი ორგანიზაციის რეაგირება არ მოჰყოლია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ მიმწოდებელი გამოხატავდა ხარჯთაღრიცხვის კორექტირებისა და სამუშაოების გაგრძელების სურვილს. ამდენად, ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება

ხარჯთაღრიცხვის კორექტირების შესახებ შეთანხმების გაუფორმებლობასა და სამუშაოების გაუგრძელებლობაში მიმწოდებლის ბრალეულობა.

7.4. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე იმის შესახებ, რომ არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა და ფინანსურმა პრობლემებმა დააბრკოლა სამუშაოების შესრულება. სააგენტო განმარტავს, რომ მიმწოდებლისთვის ცნობილი იყო NAT170010680 ელექტრონული ტენდერის სატენდერო პირობები, მათ შორის, სამუშაოების შესრულების სავარაუდო ვადა, ხოლო ხელშეკრულების გაფორმებით მან აიღო სამუშაოების 2018 წლის 4 იანვრის ჩათვლით შესრულების ვალდებულება. შესაბამისად, მას ჰქონდა შესაძლებლობა, გაეთვალისწინებინა არახელსაყრელი კლიმატური პირობების სახით არსებული დაბრკოლება. ფინანსური პრობლემების შესახებ მიმწოდებლის განმარტებასთან დაკავშირებით სააგენტო განმარტავს, რომ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა, მათ შორის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების უზრუნველყოფა წარმოადგენს მიმწოდებლის კომერციულ რისკს. რაც შეეხება მიმწოდებლის მითითებას იმის შესახებ, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია არ ანაზღაურებდა შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, სააგენტო განმარტავს, რომ აღნიშნული სცდება წინამდებარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებს და განეკუთვნება მხარეთა შორის არსებულ სახელშეკრულებო დავას, რომელიც უნდა გადაწყდეს საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით.

7.5. სააგენტო დამატებით ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე იმის შესახებ, რომ დარჩენილი ვადა არ იყო საკმარისი სამუშაოების შესასრულებლად და იგი ითხოვდა სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდას. სააგენტო აღნიშნავს, რომ სამუშაოების შესრულების ვადა 2018 წლის 9 მარტის შეთანხმებით ერთხელ უკვე გაიზარდა 105 კალენდარული დღით – 2018 წლის 4 იანვრიდან 2018 წლის 19 აპრილის ჩათვლით. ამდენად, სააგენტო ვერ გაიზიარებს მიმწოდებლის პოზიციას იმის შესახებ, რომ მას დარჩენილი ვადა სამუშაოების დასასრულებლად არ ჰყოფნიდა, მით უფრო, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულება არ შეუწყვიტავს, შესაბამისად, მიმწოდებელს ჰქონდა საშუალება, სამუშაოები დაესრულებინა თუნდაც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში – 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით. გარდა ამისა, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის 2018 წლის 4 მაისის №59 და 2018 წლის 24 ივლისის № 51 წერილებზე, რომლებშიც იგი საუბრობდა პროექტში განსახორციელებელ ცვლილებებზე, თუმცა რამდენიმე თვით ადრე, 2018 წლის 9 იანვრის № 210 წერილით მან შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ ყველა საპროექტო მონაცემი დაზუსტებული იყო. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ მიმწოდებელი არასათანადო გულისხმიერებით გაეცნო სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პროექტს, მაშინ, როდესაც მას შეეძლო, სატენდერო წინადადების წარდგენის დროს გაცნობოდა სატენდერო პირობებს, მათ შორის, ფაქტობრივ მდგომარეობას და იმგვარად დაეგეგმა სამუშაოების შესრულება. შესაბამისად, სააგენტო ვერ გაიზიარებს მიმწოდებლის პოზიციას იმის შესახებ, რომ სამუშაოების შესრულება დააბრკოლა პროექტში არსებული მონაცემების ერთმანეთთან და ადგილზე არსებულ ვითარებასთან შეუსაბამობამ.

7.6. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2017 წლის 16 ოქტომბრის №238 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.8. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაბრობის პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში.

7.9. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მოცემულ საქმეში არსებული დოკუმენტებით ერთმნიშვნელოვნად არ დასტურდება ხარჯთაღრიცხვის კორექტირების შესახებ შეთანხმების გაუფორმებლობასა და სამუშაოების გაუგრძელებლობაში მიმწოდებლის ბრალეულობა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „ინტერ პლიუსის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაბრობის პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5


პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ინტერ პლიუს“ (ს/ნ: 240420193) 2018 წლის 20 დეკემბერს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე